# გაიხსნა საკავშირო ალკკ XVII ყრილობა

**23 აპრილს,** კრემლის ყრილობათა სასახლეში, გაიხსნა საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის XVII ყრილობა. დელეგატები და სტუმრები ფეხზე ამდგარი, მქუხარე ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ **ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, ა. ა. გრეჩკოს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, თ. დ. კულაკოვს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, პ. ნ. დემიჩევს, ბ. ნ. პონომარიოვს, გ. ვ. რომანოვს, მ. ს. სოლომენცევს, დ. თ. უსტინოვს, ვ. ი. დოლგიხს, ი. ვ. კაპიტონოვს, კ. თ. კატუშევს.**

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დავალებით ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის [illegible] მდივანმა ე. ტიაჟელნიკოვმა.

უდიდესი აღფრთოვანებით საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომ[illegible]რო.

ერთხმად ამტკიცებენ ყრილობის დღის წეს[illegible].

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ბრეჟნევს. დელეგატები და სტუმრები მას ფეხზე ამდგარი, მხურვალე. ხანგრძლივი ოვაციით ხვდებიან. (საქდესი).


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

1974 წ.

№81 (5111)

24 აპრილი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


# 16 ქვეყნის 170 ათლეტი...

## რომან მარსაგიშვილის ბრინჯაოს მედალი

**სოფია, 22 აპრილი.** დამთავრდა პოპულარული ბულგარელი მოჭიდავის დან კოლოვის ტრადიციული მემორიალი თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში 16 ქვეყნის 170 ათლეტი მონაწილეობდა. ეს ტურნირი დიდად პოპულარულია ბულგარეთში და ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციაც მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

მემორიალში წარმატებით იასპარეზა ბაქოელმა მ. იბრაგიმოვმა (68 კგ). მან I ადგილი დაიკავა და ოქროს მედალი მიიღო.

ვერცხლის ჯილდოები დაიმსახურეს მოსკოველმა ლ. ბოგატირიოვმა (57 კგ) და კიეველმა ზ. ზიგაევმა (მძიმე).

ბრინჯაოს მედლები გადაეცათ თბილისელ რ. მარსაგიშვილს (იგი ასპარეზობდა მისთვის უჩვეულო, 82 კგ წონითს კატეგორიაში) და მახაჩყალელ მ. არაცილოვს (74 კგ).

ყველაზე მეტი ჯილდო ბულგარელმა მოჭიდავეებმა მიიღეს. მათი გამოსვლა ტურნირში 6 ოქროს მედლით აღინიშნა.

დღეს თბილისში იწყება სსრ კავშირის ჩემპიონატი ძალოსნობაში

# ფოლადს შეჭიდებული რაინდები

თბილისი განებივრებული არ არის ძალოსანთა დიდი ფორუმებით, მაგრამ ფოლადის იარაღს შეჭიდებულ რაინდთა სპორტს თაყვანისმცემლები მრავლად ჰყავს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში.

ცნობილია, რომ სპორტის ყოველი სახეობის პოპულარობა ბევრადაა დამოკიდებული ამ სახეობის სახელოვან წარმომადგენლებზე. თუ საქართველოში ძალოსნობა უყვართ, ეს დიტო შანიძის დიდი დამსახურებაცაა. საკმარისია ითქვას, რომ იგი სხვადასხვა დროს ფლობდა მსოფლიოს ყველა დიდ სპორტულ წოდებას, გარდა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულისა. რაც ყველაზე ნიშანდობლივია, დიტო თითქოს იმ აზრის განსახიერებაა, რომ წლები ჭეშმარიტ სპორტსმენს ვერაფერს აკლებს. შანიძემ იმ ასაკში დაიპყრო მწვერვალები, როცა სპორტსმენის მზე თითქოს ჩასვენებას უნდა იწყებდეს. იგი ამითაც სამაგალითოა თანაგუნდელებისთვის.

დიტო 31 წლისა იყო, როცა პირველად მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი. ეს იყო 1969 წელს და მას შემდეგ ქართველ ათლეტს ჩემპიონობა აღარ დაუთმია. სხვა წონებში ზედიზედ იცვლებოდნენ ჩემპიონები, დიტო კი უცვლელი იყო. ნიჭიერ ქართველ ძალოსანს მომავალ ჩემპიონატში კიდევ ერთი თავისებური რეკორდის დამყარება შეუძლია. ცნობილია, რომ ჩვენი რესპუბლიკის ძალოსანთაგან ქვეყნის ჩემპიონები ხუთჯერ იყვნენ მ. კასიანიკი და რ. ჩიმიშკიანი, მაგრამ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა წონაში. დიტო ახლა შეიძლება მეექვსედ გახდეს სსრ კავშირის ჩემპიონი, ამასთან, ზედიზედ მეექვსედ. ვუსურვოთ ქართველ ძალოსანს წარმატება თბილისის ცირკის სარბიელზე.

შანიძის გარდა, ამ შეჯიბრებაში გამოვა ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ორი ძალოსანი — ა. კიადიკოვი (მსუბუქი წონა) და ო. დემუროვი (საშუალო). შესაძლოა იასპარეზონ, აგრეთვე, ვ. ლობჟანიძემ (მსუბუქი) და დ. გაბაძემ (ქვესაშუალო).

შეჯიბრება ბევრ მიმზიდველ ბრძოლას გვპირდება, მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც ორი საბჭოთა გოლიათის ლ. ჟაბოტინსკისა და ვ. ალექსეევის შეხვედრა იქნება. ეს ძალოსნები ერთმანეთს ფიცარნაგზე ექვსი წელია არ შეხვედრიან. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ მოხდა ძალოსნობაში. დავიწყოთ იქიდან, რომ 1957 წლიდან საბჭოთა ძალოსნებს არ წაუგიათ მსოფლიოს არც ერთი პირველობა ზემძიმე წონაში. და აი, 1969 წელს ვარშავაში ჟაბოტინსკიმ დაკარგა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი ამერიკელ ჯ. დიუბთან შეხვედრაში. ამერიკელმა მხოლოდ ერთ წელიწადს გაძლო „ტახტზე", უკვე მომდევნო წელს კი ალექსეევი დაეპატრონა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს. დაეპატრონა და მას შემდეგ ახლოც არავინ გააკარა ამ წოდებას. გახდა ევროპის ჩემპიონიც, სსრ კავშირის ჩემპიონიც.

ჟაბოტინსკი? ზაპოროჟიელი ათლეტი კი აშკარად ნაადრევად „ჩამოწერეს" ძალოსნობის მოყვარულებმა. მაგრამ იგი მძიმე ავადმყოფობისგან განიკურნა და თურმე სულაც არ ფიქრობდა ფიცარნაგის დატოვებას. ოთხწლიანი „შესვენების" შემდეგ ჟაბოტინსკი დაუბრუნდა სარბიელს და კვლავ აალაპარაკა ძალოსნური სამყარო. შანიძისა არ იყოს, ისიც სპორტული დღეგრძელობის შესანიშნავ მაგალითს გვიჩვენებს (35 წლისაა). ჟაბოტინსკიმ რამდენიმე თვის მანძილზე სამჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი ატაცში და ორჭიდში წლეულს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აჩვენა. ჟაბოტინსკისა და ალექსეევის შეხვედრას ერევანში ელოდნენ „მეგობრობის პრიზის" გათამაშებაზე, მაგრამ ზაპოროჟიელმა გოლიათმა თავი შეიკავა ასპარეზობისგან.

ვნახოთ, რას მოგვიტანს თბილისის სარბიელი.

ა. ცეხანელი.

## შეჯიბრების კალენდარი

**24 აპრილი.** უმჩატესი წონა. დასაწყისი 16 ს. მჩატე წონა. 19 ს.
**25 აპრილი.** ქვემსუბუქი წონა. 16 ს. მსუბუქი წონა. 19 ს.
**26 აპრილი.** ქვესაშუალო წონა. 16 ს. საშუალო წონა. 19 ს.
**27 აპრილი.** ქვემძიმე წონა. 16 ს. მძიმე წონა. 19 ს.
**28 აპრილი.** ზემძიმე წონა. 12 ს.
შეჯიბრება შედგება თბილისის ცირკის შენობაში.



სურათზე თქვენ ხედავთ ორ მოღიმარ კაცს. ერთს სპორტის მოყვარულები ალბათ კარგად იცნობენ. მეორეს შეიძლება ბევრი ვერ ცნობდეს, მაგრამ მასაც ბევრი რამ აქვს დღეს სასიხარულო. პირველი სახელგანთქმული ქართველი ძალოსანი დ. შანიძეა, ხოლო მეორე — მისი ამჟამინდელი მწვრთნელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი შ. წერეთელი.

მ. ზარგარიანის ფოტო.



ძალოსნობის მოყვარულთათვის კარგადაა ცნობილი ვ. ალექსეევის სახელი. იგი მსოფლიოს ულონიერესი ადამიანია და ტყუილად როდი უწოდებენ ჩემპიონთა შორის უდიდეს რეკორდსმენს. მართლაც ძნელია მოიძებნოს ქვეყნად მეორე ათლეტი, რომელსაც მსოფლიო რეკორდების ცხრილში 58 შესწორება შეეტანოს.

მ. ზარგარიანის ფოტო.



აბსოლუტური მსოფლიო რეკორდი ძალოსნობაში არ არსებობს. მაგრამ, თუ ერთ სპორტსმენს შეუძლია ყველა უძლიერეს ტიტულს ფლობდეს, მათ შორის უპირველესი ლ. ჟაბოტინსკია. თავისი აქტიური მოღვაწეობის ხუთი წლის მანძილზე მან შეძლო ორ-ორჯერ გამხდარიყო მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# ჯარიმა სხვისი სამიზნის გახვრეტისთვის

ლვოვში გრძელდება სსრ კავშირის უძლიერეს ტყვიის მსროლელთა საგაზაფხულო შეჯიბრება.

პერმელმა ნ. გუბინამ მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სროლაში სტარტი შესანიშნავად აიღო. მრგვალ სამიზნეებზე მან 295 ქულა მოაგროვა, სილუეტებზე შეჯიბრებაში კი ბოლო გასროლის წინ სსრ კავშირის რეკორდის დამყარების შანსი ჰქონდა. საამისოდ მას ტყვია სამიზნის ცენტრისთვის უნდა მოეხვედრებინა, მაგრამ ალბათ ნერვებმა უღალატა და ქულა დაკარგა. საბოლოო ჯამში გუბინამ 592 ქულა მოაგროვა და სსრ კავშირის რეკორდი გაიმეორა.

სტანდარტზე (3×20) მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში ლ. ივშინას (ლატვია) წოლელა 20 გასროლით ქულაც კი არ დაუკარგავს. ზოქელა და დგომელაც სხვებზე უკეთესად ისროლა და 571 ქულით პირველობა მოიპოვა. მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ტ. ჩერკასოვამ (რსფსრ) მასთან 7 ქულა წააგო.

ოლიმპიურ ჩემპიონსა და მსოფლიო რეკორდსმენს გ. კოსიხს (რსფსრ) შავ სამიზნეებზე სამატჩო პისტოლეტის საცდელი სროლის დროს კურიოზული ამბავი შეემთხვა: მის მიერ გასროლილი ტყვია სხვის სამიზნეს მოხვდა, რისთვისაც კოსიხი 2 ქულით დაჯარიმდა. ამან სპორტსმენს ხასიათი გაუფუჭა და პირველი დღის მერე მხოლოდ XVII ადგილზე იყო (ოლიმპიურ ვარჯიშებში გამარჯვებული განმეორებითი სერიების მერე ვლინდება).

● **ინსბრუკი, 22 აპრილი.** ადგილობრივი სპორტის სასახლის ყინულის სარბიელზე გამართულ ფიგურული ციგურაობის ოსტატთა საერთაშორისო ტრადიციულ შეჯიბრებაში, რომელსაც „მეგობრობა" ჰქვია, სსრ კავშირის, რუმინეთის, პოლონეთის, ფინეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. ყველა თანრიგში საბჭოთა სპორტსმენებმა იმარჯვეს. ერთეულთა სრიალში საუკეთესონი იყვნენ მარინა ტიტოვა (მოსკოვის ოლქი) და ლიივო რენიკი (სვერდლოვსკი), ხოლო ლიივოს ძმამ არდო რენიკმა და მისმა ცოლმა იულიამ ყველას აჯობეს წყვილთა სრიალში. ყინულზე ცეკვაში გაიმარჯვეს მოსკოვის ოლქის წარმომადგენლებმა ე. ვოლკოვმა და ვ. ბობოშინმა.

● **ლოს-ანჯელესი, 22 აპრილი.** მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში კ. გარპენბორგმა (შვეცია) 100 იარდი 9,2 წამში გაირბინა. ეს შედეგი 0,2 წამით სჯობს ევროპის რეკორდს, რომელიც 15 წელიწადს ურყევად იდგა.

● **ლვოვი, 22 აპრილი.** მოსკოვის მესტენდურეთა ნაკრებმა თავის ძირითად მეტოქეებს — უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის გუნდებს გაუსწრო და სსრ კავშირის თასი მოიპოვა. ადგილიდან სროლაში საუკეთესონი იყვნენ მოსკოველი ნ. უკოლოვა და ლვოველი ლ. მელიჩენკო, ხოლო მრგვალ სტენდზე — ლ. კორჩინსკაია (მოსკოვი) და ი. ცურანოვი (რსფსრ). გამარჯვებულთა შედეგებიდან ყურადღების ღირსია ჯამი ცურანოვისა, რომელმაც ძლიერ ქარში 200-დან 197 თეფშის გატეხა შეძლო.

● **დორტმუნდი, 22 აპრილი.** ადგილობრივი „გუმერსბახის" ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიგო. მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელებთან დასავლეთგერმანელების ფინალური მატჩის ძირითადი დრო ფრედ (16:16) დამთავრდა, მაგრამ დამატებითს დროში მასპინძლებმა იმარჯვეს — 19:17.

[illegible]-74

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროსად გადაიყვანა რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ნ. ახალკაცი.

• • •

საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი მ. ტატიშვილი დაინიშნა ცურვის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლის დირექტორად.

• • •

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისთვის, დაბადების 50 წელთან დაკავშირებით, ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე ბ. თავართქილაძე.

## [illegible]

### ✦ წითელი წყარო

კულტურის სახლში სპორტული საღამო გაიმართა. კულტსახლის დირექტორმა კ. გარსევანიშვილმა წაიკითხა მოხსენება „ფიზკულტურისა და სპორტის გამაჯანსაღებელი და მორალურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა". მერე დამსწრეთ უჩვენეს კინოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი". საღამოს დასასრულს ჯილდოები გადაეცათ კ. ავაქიანს — მოჭადრაკეთა ტურნირში გამარჯვებულს, ნ. მარტიაშვილს — მოშაშეთა შეჯიბრების პირველ პრიზიორს, ვ. ნიკიტინასა და ჯ. კობიაშვილს, რომლებმაც გაიმარჯვეს მაგიდის ჩოგბურთელთა შეხვედრებში.

• • •

მოჭადრაკე ქალთა რაიონულ, 8 მარტისადმი მიძღვნილ პირველობაში ათ მონაწილეს შორის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა სოფელ ჯაფარიძის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ე. რობიტაშვილმა, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო.

• • •

აქ ჩატარდა რაიონის პიონერული ასაკის მოჭადრაკეთა გუნდური ტურნირი, რომელშიც 11 კოლექტივი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა სოფ. არბოშიკის საშუალო სკოლის გუნდმა (უფროსი პიონერხელმძღვანელი ნ. ხუციშვილი).

უ. წყარუაშვილი.

### ✦ ახმეტა

სოფ. მატნის სკოლის მოჭადრაკეებმა გაიმარჯვეს რაიონის გუნდურ პირველობაში. გოგონებს შორის უძლიერესი იყო ც. სიმონიშვილი, ჭაბუკებში — გ. ექვთიმიშვილი.

შ. ნათელაური.

# ბრუნო ჰიუნერმუნდი: ჩვენი მეგობრობა გაგრძელდება!

თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა ტანვარჯიშის ცენტრალურ სპორტსკოლას ბევრჯერ გაუწევია მასპინძლობა საერთაშორისო შეჯიბრებებისთვის. და აი, გასულ ხუთშაბათს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტანმოვარჯიშე ჭაბუკები გვესტუმრნენ თბილისელ თანატოლებთან ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად. ჩვენმა სპორტსმენებმა მეტოქეები საგრძნობლად ჩამოიტოვეს და ყველა საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს. სტუმართაგან საუკეთესო — უფროსი ასაკის ტანმოვარჯიშე ი. შნაიდერი (52,45 ქულა) V ადგილზე დარჩა.

შეჯიბრების მეორე დღეს კვლავ მივაკითხეთ სპორტსკოლას. სტუმარ-მასპინძლები ერთობლივ საწვრთნელ მეცადინეობას ატარებდნენ. შესახიშხავი რუსულით ჩვენი ყურადღება მიიპყრო სტუმართა დელეგაციის წევრმა ბრუნო ჰიუნერმუნდმა. როცა საუბარი დავუწყეთ, იგი ყოველ შეკითხვაზე სიამოვნებით გვაძლევდა პასუხს. როგორც თვითონ გვითხრა, ჰიუნერმუნდი ბერკნოიშტადტის გიმნაზიაში ინგლისურ და ამერიკულ ლიტერატურას ასწავლის. ტანმოვარჯიშეთა მწვრთნელად მუშაობა მისი ჰობია, მხოლოდ ვაჟებს ამეცადინებს. ჰყავს თავისი მოწაფეები და მათთან ერთად ყოფილა სსრ კავშირში. ამჯერად ჰიუნერმუნდი ნოტჰაიმის ორი საუკეთესო კლუბის ტანმოვარჯიშეებთან ერთად ჩამოვიდა. ნაკრებში მას ოფიციალური დავალება არა აქვს, თუმცა შეჯიბრებაზე ხშირად იწვევენ, როგორც მრჩეველს, ორგანიზატორს... ამაში მას რამდენიმე უცხო ენის ცოდნაც ეხმარება.

გთავაზობთ ინტერვიუს ჰიუნერმუნდთან.

● ბ-ნო ბრუნო, რა მიგაჩნიათ თბილისში ჩამოსვლის მთავარ მიზნად?

— ჩვენი უპირველესი მიზანია ქართველ ტანმოვარჯიშეებთან კონტაქტის დამყარება, მათთან ერთად ვარჯიში, მათთან ასპარეზობა.

● რატომ შეაჩერეთ არჩევანი საქართველოზე?

— გამომგზავრებამდე დიდხანს ყურადღებით დავყურებდით საბჭოთა ქვეყნის რუკას. ძალიან გვინდოდა საქართველოს ნახვა. ამიტომ მოსკოვთან და ლენინგრადთან ერთად თბილისიც შევიტანეთ ჩვენს მარშრუტში. ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტში არჩევანი მოგვიწონეს და შემოგვთავაზეს როსტოვსაც ეწვიეთო. თბილისიდან პირდაპირ დონის როსტოვში გავემგზავრებით და იქ დავამთავრებთ ტურნეს.

● რა შთაბეჭდილებას ახდენს თქვენზე საბჭოთა ტანვარჯიში?

— საბჭოთა ვაჟები ჩვენებზე ერთი საფეხურით მაღლა დგანან, ქალები კი — ორით. ჩემი აზრით, ამას ისიც განაპირობებს, რომ თქვენ ქორეოგრაფებთან ერთად მუშაობთ. საბჭოთა მწვრთნელებს შეუძლიათ ძალების კონცენტრაცია, ჩვენთვის კი ეს მხოლოდ ნატვრაა. ძალიან მომწონს თქვენი დამხმარე იარაღები, რაც ჩვენ არა გვაქვს. სამაგიეროდ, ჩვენი ძირითადი იარაღები და სპორტული დარბაზები ბევრად სჯობს თქვენსას.

● ქართველი ტანმოვარჯიშეებიდან რომელი მოგეწონათ ყველაზე მეტად?

— სხვადასხვა იარაღზე სხვადასხვა სპორტსმენი მომეწონა. მაგალითად, თავისუფალ ვარჯიშში კარგი იყო აკაკი ცინცაძე, ღერძზე — კოტე ლაშხი, ხტომაში... აი, ის, მაღალი, დაკუნთული, ნამდვილი ქართველი... (გვარი ვერ გაიხსენა და ხელით ელგუჯა ჯაიანზე მიგვითითა). ისინი შეცდომებს უშვებდნენ, მაგრამ საერთოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს.

● ალბათ გაგრძელდება თქვენი და ქართველი ტანმოვარჯიშეების მეგობრობა.

— დიახ. ყოველ შემთხვევაში, დიდი სურვილი გვაქვს ამისა. ჩვენ ოფიციალურად მოვიწვევთ არა მარტო ქართველებს, არამედ ყველას, ვისაც ამ ტურნეში შევხვდით და კიდევ შევხვდებით საბჭოთა კავშირში. მომავალ შეჯიბრებებში დასავლეთ გერმანიის საუკეთესო კლუბებისა და ქვეყნის ნაკრების წარმომადგენლებს გამოვიყვანთ.

• • •

ახლა კი გაგაცნობთ პრიზიორებს მრავალჭიდში: **15-16 წლის ჭაბუკები.** გ. პაპუაშვილი (განათლების განყოფილება) — 52,4 ქულა, ვ. გოლოვინი („განთიადი") — 49,0, ლ. ვენეცკი („ლოკომოტივი") — 48,3. **17-18 წლის ვაჟები.** გ. ბახია („დინამო") — 54,65 ქულა, ა. კუპრეიშვილი (განათლების განყოფილება) — 54,15, ქ. ლაშხი („განთიადი") — 52,75.

**გუნდური.** საქართველო — 319 ქულა, გფრ — 286,65.

ა. გურასაშვილი.





ჩვენი ფოტოკორესპონდენტის მ. ზარგარიანის ეს სურათები საქართველოს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეთა შეხვედრის რამდენიმე ეპიზოდზე მოგვითხრობს. ზედა სურათზე თქვენ ხედავთ უფროსი ასაკის ჭაბუკებში გამარჯვებულ გ. ბახიას ორძელზე ვარჯიშის დროს; მეორე ფოტოზე სტუმართა საუკეთესო ტანმოვარჯიშე ი. შნაიდერია აღბეჭდილი; საერთაშორისო შეხვედრებში, ტრადიციულად, სტუმარ-მასპინძლები სამახსოვრო ვიმპელებს ცვლიან. მესამე სურათზე სწორედ ეს ცერემონიალია აღბეჭდილი.



### ✦ ზესტაფონი

რაიონის მოჭადრაკეთა გუნდურ პირველობაში 16 ფიზკულტურული კოლექტივი მონაწილეობდა. თითოეულ გუნდში ოთხი წევრი იყო. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ფეროშენადნობთა ქარხნისა და ქარხანა „საქკაბელის" გუნდები. მატჩი მეტალურგებმა მოიგეს — 2,5:1,5. პირველობის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა რაიონის ნაკრები, რომელიც რესპუბლიკის VI სპარტაკიადის ზონალურ შეჯიბრებაში გამოვა.

ა. განუგრავა.

## [illegible]

# ვისაც რომში წასვლა სურს...

საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტის მძლეოსნობის განყოფილებამ ევროპის XI ჩემპიონატში (სექტემბერი, რომი) მონაწილეობისთვის დააწესა ნორმატივები, რომელთა შესრულება სავალდებულოა საკავშირო ან ევროპის შეჯიბრებათა კალენდრით გათვალისწინებულ ასპარეზობებში.

ნორმატივები ასეთია:

**ქალები.** რბენა. 100 მ — 11,4, 200 მ — 23,2, 400 მ — 52,8, 800 მ — 2.01,0, 1500 მ — 4.08,0, 3000 მ — 9.05,0. 100 მ თარჯრბენი — 13,4. სიმაღლეზე ხტომა — 184 სმ. სიგრძეზე ხტომა — 650 სმ. ბირთვის კვრა — 19,50 მ. ბადროს ტყორცნა — 60 მ. შუბის ტყორცნა — 60 მ. ხუთჭიდი — 4600 ქულა.

**ვაჟები.** რბენა. 100 მ — 10,2, 200 მ — 21,0, 400 მ — 46,6, 800 მ — 1.47,0, 1500 მ — 3.38,5, 5000 მ — 13.30,0, 10000 მ — 28.06,0. თარჯრბენი. 110 მ — 13,7, 400 მ — 50,4. 3000 მ წინაღობებით — 8.26,0. სიმაღლეზე ხტომა — 220 სმ. სიგრძეზე ხტომა — 780 სმ. ჭოკით ხტომა — 525 სმ. სამხტომი — 16,80 მ. ბირთვის კვრა — 20 მ. ბადროს ტყორცნა — 62 მ. უროს ტყორცნა — 73 მ. შუბის ტყორცნა — 85 მ. ათჭიდი — 7900 ქულა.

## „ლელო" წერილის კვალდაკვალ

### „ეს საქმე უნდა მოგვარდეს"

ამ სათაურით „ლელოს" 14 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ თბილისის ნორჩ ნატურალისტთა სადგურის წყლის რეზერვუარი შეიძლება საცურაო აუზად გადაკეთდეს.

როგორც თბილისის კიროვის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ა. მაჭარაშვილი გვატყობინებს, რაიონის ხელმძღვანელობამ მდგომარეობის ადგილზე შესწავლის შემდეგ დასახა ღონისძიება რეზერვუარის საცურაო აუზად გადაკეთებისთვის.

# ფიზაღზრდის პროგრამის

ამას წინათ მოსკოვში ჩატარდა საკავშირო კონფერენცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკური კულტურის პროგრამის სრულყოფის გზებს მიეძღვნა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის განათლების საქალაქო განყოფილებების მუშაკები, მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროების ფიზიკური აღზრდის განყოფილების გამგეები, მეთოდური კაბინეტების ხელმძღვანელები, თავდაცვის სამინისტროს, პროფსაბჭოს, ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის, მეცნიერებისა და ტექნიკის საკავშირო კომიტეტის მუშაკები, სხვადასხვა სპეციალობის წარმომადგენლები, დამსახურებული მასწავლებლები, სკოლის ექიმები, ფიზიოლოგები, ჰიგიენისტები და სხვ.

კონფერენცია მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის განათლების მინისტრის მოადგილემ მ. კონდაკოვმა. მან აღნიშნა, რომ ბევრ რესპუბლიკაში უმჯობესდება სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესებისთვის პროგრამის სრულყოფას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

— სასიხარულოა, — თქვა მომხსენებელმა, — რომ კონფერენციას ესწრება 68 მასწავლებელი, მათ შორის 14 — სოფლის სკოლებიდან. უშუალოდ სწორედ მათ უნდა განახორციელონ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების მიზნით მიღებული გადაწყვეტილებები. რაც უფრო სრულყოფილი იქნება პროგრამა, მასწავლებლებს მით უფრო გაუადვილდებათ მუშაობა.

ძირითად საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ბავშვთა და მოზარდთა ფიზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის მეთოდიკის ორგანიზაციის ლაბორატორიის გამგე, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ზ. კუზნეცოვა, რომელსაც გამოქვეყნებული აქვს ბევრი ნაშრომი სკოლაში პრაქტიკული მუშაობის შესახებ. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ახალი პროგრამის შედგენისას არ შეიძლება დავივიწყოთ ძველის დადებითი მხარეები, რაც ძირითად ბაზად უნდა იყოს გამოყენებული.

მომხსენებელმა ილაპარაკა ფიზიკური აღზრდის სრულყოფისთვის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური აღზრდის განყოფილების მიერ ჩატარებულ დიდ მუშაობაზე. შემდეგ მან გააანალიზა ძველ პროგრამებში შეტანილი ცვლილებები. ამავე დროს უჩვენებდნენ სპეციალურ დიაგრამებს, რომელთაც კომენტარს მომხსენებელი უკეთებდა.

— კვლევის შედეგად დამტკიცდა, — თქვა ზ. კუზნეცოვამ, — რომ ძირითადი მოძრაობითი უნარ-ჩვევების დაუფლება და განვითარება 12 წლის ასაკამდე ხდება, ამიტომ ეს უნდა გავითვალისწინოთ ახალი პროგრამის შედგენისას. ტექნიკურად რთული ილეთების შესწავლა საჭიროა არა მაღალ კლასებში, არამედ შედარებით ადრე.

მომხსენებელმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ტანვარჯიშის სასწავლო მასალის განაყოფზე. მან აღნიშნა, რომ, ვინაიდან „მოძრაობის ძირითადი სკოლა" აქაა თავმოყრილი, საჭიროა ტანვარჯიშის მასალა 2 წლით „გაახალგაზრდავდეს", ესე იგი, მეათე კლასის მასალა ისწავლებოდეს მერვეში, მერვე კლასისა — მეექვსეში და ა. შ.

ზ. კუზნეცოვამ წარმოადგინა ახალი პრინციპი სასწავლო მასალის დაჯგუფებისა — არა სპორტის სახეობათა მიხედვით, როგორც ძველ პროგრამებში იყო, არამედ სხვადასხვა მოძრაო-

# ფეხბურთი

## სსრ კავშირის პირველობა

### I ლიგა

22 აპრილს ქუთაისის ტორპედოელები იაროსლავლში შეხვდნენ ადგილობრივ „შინიკს" და დამარცხდნენ — 0:1.

ტურის სხვა შედეგები ასეთია: „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 1:0, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „ნეფთჩი" (ბაქო) 1:1, „დინამო" (მინსკი) — „პამირი" (დუშანბე) 2:0, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „სტროიტელი" (აშხაბადი) 2:0, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 1:0, „ზვეზდა" (პერმი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 2:1, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) 1:0, „კუზბასი" (კემეროვო) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 1:0.

### II ლიგა III ზონა

22 აპრილს გაიმართა მორიგი კალენდარული შეხვედრები.

#### „კოლხეთი" (ფოთი) — „ისკრა" (სმოლენსკი) 0:1

ამ საინტერესო მატჩში სტუმრებმა ნამდვილი მებრძოლის თვისებები და კარგი ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადება გამოავლინეს. მათს რიგებში გამოდიან გამოცდილი ფეხბურთელები მირონოვი, სერგეევი, ბოროდინი, რომლებიც ახალგაზრდებთან ერთად მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ.

პირველ ტაიმში უპირატესობა „ისკრის" მხარეს იყო. უკვე მე-10 წუთზე ირმეკისმა ძელს მოახვედრა ძლიერად დარტყმული ბურთი, მაგრამ გავიდა სულ 3 წუთი და იმავე ირმეკისმა კარგად ისარგებლა „კოლხეთის" მცველთა შეუთანხმებლობით: ამჯერად მისმა დარტყმამ მიზანს მიაღწია — 1:0.

სულ ცოტა ხანში კვარაცხელიამ დაკარგა ანგარიშის გათანაბრების საუკეთესო შანსი.

შესვენების შემდეგ ბრძოლის სურათი მინდორზე მკვეთრად შეიცვალა. ფოთელებმა მოაწესრიგეს ურთიერთმოქმედება, თავდამსხმელები ნახევარდაცვის ხაზის დახმარებით შეტევას ხშირად უტევდნენ, გოლის გატანის შესაძლებლობა ჰქონდათ არზიანს, ფილიას, ბურჯანაძეს, რამდენიმე საშიფათო ბურთის აღება მოუხდა „ისკრის" მეკარე ულიავიჩუსს.

მიუხედავად მასპინძელთა ბევრი ცდისა, ანგარიში არ შეცვლილა.

ზ. ბასილაია.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
ფოთი.

#### „გურია" (ლანჩხუთი) — „დინამო" (ბრიანსკი) 2:0

მასპინძლებმა მონდომებით, ენერგიულად დაიწყეს თამაში გამოცდილ მეტოქესთან და მათი ეს უპირატესობა დროდადრო დინამოელთა კართან შექმნილ ძალზე სახიფათო მომენტებში ისახებოდა. მე-16 წუთზე ძაგანიამ მიიღო აბაიშვილის ზუსტი გადაცემა, ძლიერად დაარტყა დაახლოებით 13-14 მეტრიდან და ბურთი ბადეში აღმოჩნდა — 1:0.

ამ წარმატებამ მეტი დაჯერებულობა შეიტანა „გურიის" თამაშში. შუა ტაიმში ძიძიგურს შეეძლო კიდევ უფრო დაეწინაურებინა თავის გუნდი, მაგრამ მის მიერ დარტყმული ბურთი კარს ასცდა.

შესვენების შემდეგ ბრიანსკელებმა საგრძნობლად გამოასწორეს მდგომარეობა, იერიშებს უკვე ორმხრივი ხასიათი მიეცა. მატჩის ბედი ფაქტიურად გადაწყდა 70-ე წუთზე, როცა „დინამოს" ერთ-ერთმა მცველმა სახიფათო სიტუაციაში ხელით ითამაშა თავისი კარის სიახლოვეს. პენალტი შეუცდომლად გამოიყენა ძაგანიამ — 2:0.

დარჩენილ დროში ორივე გუნდს შეეძლო ანგარიშის შეცვლა, მაგრამ ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს. ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა პირველი გამარჯვება ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში.

გ. წილოსანი.
(ტელეფონით).
ლანჩხუთი.

• • •

II ტურის მატჩის შედეგი ლანჩხუთის „გურიისა" და სევასტოპოლის „დინამოს" შორის საკდესმა არასწორად მოგვაწოდა. შეხვედრა დამთავრდა არა ანგარიშით 1:0 ლანჩხუთელთა სასარგებლოდ, არამედ ფრედ — 1:1.

#### სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „დინამო" (ბათუმი) 1:1, „დინამო" (ზუგდიდი) — „დინამო" (სტავროპოლი) 1:1, „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) — „ურალანი" (ელისტა) 0:1, „დინამო" (კიროვაბადი) — „ტორპედო" (ვლადიმირი) 2:1, „ფოლადი" (სუმგაითი) — „დინამო" (ვოლოგდა) 0:1, „ლორი" (კიროვაკანი) — „ხიმიკი" (ძერჟინსკი) 1:1, „შირაკი" (ლენინაკანი) — „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) 3:0.

### სამეგრელოში ცნობილთა

+ ზუგდიდი

საინტერესოდ ჩატარდა მოსწავლე ფეხბურთელთა საქალაქო გათამაშება „სიჭაბუკის თასზე", რომელშიც მონაწილეობდნენ 1958-59 წლებში დაბადებული მოზარდები. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ 1-ლი და მე-4 საშუალო სკოლების გუნდები. ანგარიშით 4:1 გაიმარჯვეს მე-4 სკოლის წარმომადგენლებმა, რომლებმაც დაისაკუთრეს გარდამავალი თასი.

ქ. ფიფია.



## მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

### სპასკი — კარპოვი 1:1 (3 ყაიმი)

ლენინგრადი, 22 აპრილი. მატჩის V პარტიაში ბრძოლა ხუთივე საათს დაძაბული იყო. მეტოქეებმა ნიმცოვიჩის დაცვის ერთ-ერთი პოპულარული ვარიანტი გაითამაშეს, რომლის თეორიული გამოკვლევები ოცზე მეტ სვლას აღემატება.

დებიუტის მიხედვით სპასკიმ (შავებით) ვერ მიაღწია მდგომარეობის გათანაბრებას: თეთრების ორი კუ იმუქრებოდა თამაშში დიდი ძალით ჩაგმას. მე-18 სვლაზე კარპოვს c პაიკით რომ ეთამაშა, მეტოქეს სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენებდა, მაგრამ მალე ლაზიერის ფრთის პაიკების სისუსტის გამო მან თავად იგრძნო სიძნელეები. ერთ-ერთი პაიკის შეწირვით კარპოვმა გააქტიურა თავისი კუ. სპასკის შეეძლო 29. ...h5-ით იერიშის კარგი შანსი მიეღო. თამაშის მეხუთე საათზე კარპოვმა უკან დაიბრუნა პაიკი.

პარტია გადაიდო მსუბუქი ფიგურების დაბოლოებაში, რომელშიც კარპოვის ორი კუ ანაზღაურებს შავების შორეულ გამსვლელ პაიკს.

**კარპოვი — სპასკი**
**ნიმცოვიჩის დაცვა**

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მc3 კb4 4. მf3 c5 5. e3 d5 6. კd3 0—0 7. 0—0 მc6 8. a3 კ:c3 9. bc dc 10. კ:c4 ლc7 11. კd3 e5 12. ლc2 ეe8 13. მ:e5 მ:e5 14. de ლ:e5 15. f3 კe6 16. e4 ეad8 17. კe2 b6 18. a4 კd7 19. ეd1 კc6 20. ე:d8 ე:d8 21. კe3 h6 22. კf2 მh5 23. g3 g5 24. კb5 კb7 25. ეd1 ე:d1+ 26. ლ:d1 მf6 27. g4 ლ:c3 28. კg3 მფg7 29. კe2 კc6 30. ლd6 ლd4+ 31. ლ:d4 cd 32. a5 ba 33. კe5 მფg6 34. კ:d4 მe8 35. კ:a7 h5 36. gh+ მფ:h5 37. მფf2 მფg6 38. კd3 მg7 39. კb6 a4 40. კc5 მe6 41. კd6.

პარტია გადაიდო. შავებმა ჩაიწერეს 41-ე სვლა.

ლენინგრადი, 23 აპრილი. კარპოვი და სპასკი თამაშის განუახლებლად დაუზავდნენ ერთმანეთს წინადღით გადადებულ V პარტიაში.

VI პარტია 24 აპრილს შედგება.

### პეტროსიანი — კორჩნოი 1:2 (1 ყაიმი)

გუშინწინ ოდესაში გათამაშდა IV პარტია, რომელშიც თეთრებით პეტროსიანი იყო. 39-ე სვლაზე კორჩნოიმ დროს გადააცილა და წაგება ჩაეთვალა.



## ოთხი ეტაპის შემდეგ

19 აპრილს სოხუმში სტარტი მიეცა საქართველოს მრავალდღიან ველორბოლას. სპორტსმენებმა უკვე განვლეს 4 ეტაპი. გუშინ ველორბოლის მონაწილეებს დასვენების დღე ჰქონდათ, დღეს კი ბათუმიდან სამტრედიისკენ დაადგებიან გზას.

4 ეტაპის ჯამში რბოლას ლიდერობს ბურევესტნიკელი ა. ხამუტოვი — 11:09.53. მომდევნო ადგილებზე არიან დინამოელი ა. ცხოვრებაძე (11:12.08) და ბურევესტნიკელი დ. კობაიძე (11:13.20). მოწვეულ ველოსიპედისტთაგან ყველაზე კარგი შედეგი პოლონელ მ. მალკოვსკის აქვს — 11:14.35. იგი IV ადგილზეა.

გუნდურ ჩათვლაში წინ არიან: „ბურევესტნიკი" — 33:38.07, „სპარტაკი" — 33:47.13, სომხეთის პირველი გუნდი — 33:47.20, პოლონეთის ნაკრები — 33:48.15.

საინტერესო იყო ველორბოლის III ეტაპი: ზუგდიდი — ქუთაისი. ველოსიპედისტებმა კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოავლინეს.

ც. ფცქიალაძე.

• • •

სურათებზე: შეჯიბრების მონაწილენი ქუთაისის ქუჩებში; ასეთი იყო III ეტაპის ფინიში, რომელიც ერევნელმა ა. გალსტიანმა მოიგო. გამარჯვებულს კვალდაკვალ მიჰყვება ქუთაისელი ო. ქათამაძე.

ლ. ფაჩუაშვილის ფოტოები.

## სრულყოფისთვის

ბითი მოქმედების შესაბამისად.

დიდი ყურადღებით მოისმინეს ი. დუდარევის (საბჭოთა არმიის სპორტული კლუბი) გამოსვლა. მან განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ახალი პროგრამების შედგენისას საჭიროა სასკოლო და სამხედრო პროგრამებს შორის კავშირის გათვალისწინება.

კონფერენციის მეორე დღეს მუშაობდა კომისიები სახეობათა მიხედვით. ცენტრალურმა კომისიამ პლენარულ სხდომაზე გატანამდე მოისმინა ყველა კომისიის მიერ დამუშავებული საკითხები. პროგრამის სრულყოფისთვის პროექტში გაითვალისწინეს შემდეგი წინადადებანი: განმარტებით ბარათში აღნიშნული იყოს მოძრაობითი თვისებების განვითარების საფეხურები ყველა კლასის მოსწავლეებისთვის; სასწავლო პროგრამები მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, ცურვაში შედგეს მშდ კომპლექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე; IV კლასიდან დიფერენცირებული უნდა იყოს სასწავლო მასალა ბიჭებისა და გოგონებისთვის; მეოთხე კლასიდან გაფართოვდეს სამწყობრო და წყობითი ვარჯიშები საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სამწყობრო წესდების შესაბამისად; პროგრამაში ჭაბუკებისთვის მეტი ყურადღება დაეთმოს მწყობრ მარშგარბენებს, გიზრბენებს, წინაღობათა გადალახვას, ჭიდაობისა და თავდაცვის ელემენტებს, ვარჯიშებს, რომლებიც ხელს უწყობს კუნთური ძალისა და გამძლეობის ზრდას: აქ გათვალისწინებული უნდა იყოს საბჭოთა არმიის რიგებში წვევამდელთა ფიზიკური მომზადების მოთხოვნები პირველი წლისთვის; პროგრამიდან ამოვიღოთ ტექნიკურად რთული ვარჯიშები, რომლებიც სწავლებისთვის დიდ დროს მოითხოვს; სკოლებში, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს, პროგრამის სხვა სახეობათა ხარჯზე გამოიყოს 14 საათი ცურვის სწავლებისთვის; ტანვარჯიშულ იარაღზე შემცირდეს მიმყვან ვარჯიშთა რაოდენობა; საპროგრამო მასალა დახარისხდეს მოძრაობითი მოქმედების სახეებად, საორიენტაციო დროის აღნიშვნით, რაც საჭიროა ყოველი თემის სწავლებისთვის. სასწავლო მასალის ყოველი თემა დანომრილი იყოს; პროგრამაში ფართო ადგილი დაეთმოს საშინაო დავალებებს; კონკრეტულად იყოს აღნიშნული, რა სახის ვარჯიშები უნდა მივცეთ ბავშვებს კლასების მიხედვით; გათვალისწინებული იყოს კავშირი საბავშვო ბაღების, უმაღლესი სასწავლებლებისა და საბჭოთა არმიის პროგრამებს შორის.

კომისიებში აქტიურად იმუშავეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. მაგალითად ცენტრალურ კომისიაში მუშაობდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის განყოფილების გამგე ი. ბაცელაშვილი, დაწყებითი კლასების კომისიაში განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდური კაბინეტის გამგე გ. მერკვილაძე, ტანვარჯიშის კომისიაში — ამ წერილის ავტორი.

კონფერენციაზე დადგინდა, რომ პროგრამის სრულყოფისთვის წინადადებათა შეტანის ვადა გაგრძელებული იქნება 1 მაისამდე. ამასთან, ჟურნალ „ფიზიჩესკაია კულტურა ვ შკოლე"-ს ფურცლებზე დისკუსია გრძელდება.

მოსკოვში საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ წარადგინა ბევრი წინადადება ჩვენი სკოლების მუშაობის გამოცდილებიდან.

კომისიების მუშაობის შედეგები მოწმობს, რომ პროგრამის გაუმჯობესებისკენ აღებული კურსი სწორია. ამიტომ საჭიროა ამ საქმეში აქტიურად ჩაება უფრო მეტი მასწავლებელი, საჭიროა მეტი შემოქმედებითი მუშაობა ფიზიკური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

ბ. კიტეიშვილი,
რესპუბლიკური ექსპერიმენტული ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ფიზიკური კულტურის მასწავლებელი.

# თბილისელებს უმაღლესი ლიგა ელით

საკუთარი კედლების უპირატესობის თეორია ეჭვს ქვეშ დააყენეს თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელმა ქალებმა, როცა „ა“ კლასის I ჯგუფის III ტურის მატჩში შეჯიბრების ერთ-ერთ აუტსაიდერთან — სვერდლოვსკის „კალინინეცთან“ შეხვედრაში სტუმრებს პირველი წუთებიდანვე დაწინაურების საშუალება მისცეს. მხოლოდ მე-12 წუთზე ნ. არაბოვას მიერ 7-მეტრიანი დარტყმით გატანილმა გოლმა აღადგინა წონასწორობა — 3:3. ამის შემდეგ მასპინძლებს ხელიდან არ გაუშვიათ ინიციატივა და ტაიმი 3 ბურთის სხვაობით მოიგეს — 9:6.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა კიდევ უფრო გაზარდეს ანგარიშში სხვაობა, ხოლო მატჩის მიწურულს კიდევ ერთხელ ააღელვეს მაყურებლები, როცა სვერდლოვსკელებს ისევ მისცეს რამდენიმე გოლის გატანის საშუალება.

ბურევესტნიკელებს თბილისის ტურში არც ერთი მატჩის მოგება ასე არ გასჭირვებიათ. ეს იმიტომ მოხდა, რომ ისინი, როგორც ჩანს, იოლ გამარჯვებას ელოდნენ.

კვლავ გაახარა გულშემატკივრები არაბოვამ. ამ მატჩში გატანილი გოლების ნახევარი — რვა ბურთი მის ანგარიშზე მოდის. სვერდლოვსკელთა მიერ გატანილი 15 გოლიდან 4-4 მოდის ვ. ვაფინასა და ლ. ზაბოლოტნიხზე.

შეჯიბრების ბოლო დღეს თბილისელები ალმაათელ თანაკლუბელებს შეხვდნენ. იგრძნობოდა მასპინძელთა უპირატესობა როგორც ტექნიკურად, ისე ტაქტიკურად. ალმაათელებს სანუკვარ ექვსეულში მოხვედრა უზრუნველყოფილი ჰქონდათ და, როგორც ხშირად ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, თავისუფლად, გაშლილად თამაშობდნენ. როცა დასაკარგი არაფერი გაქვს და ქულობრივი არითმეტიკისაც არ გეშინია, თამაში უფრო გამოგდის. თბილისელებს კი, პირიქით, აუცილებლად მოგების სურვილმა თავდაპირველად ხელფეხი შეუბორკა და მათი შეტევები ქაოსური გახადა. არაბოვა რომ არა, ვინ იცის როგორ შეტრიალდებოდა მატჩის ბედი. საკმარისია ითქვას, რომ თბილისელთა მიერ გატანილი 26 ბურთიდან არაბოვას ანგარიშზე 16 გოლია. ამას თუ დავუმატებთ, რომ დანარჩენი გოლებიც არაბოვას აქტიური მონაწილეობის შედეგია, სურათი უფრო ნათელი გახდება. ამიტომ სავსებით დამსახურებულად მიგვაჩნია, რომ ტურნირის საუკეთესო ბომბარდირისთვის განკუთვნილი პრიზი არაბოვას ხვდა წილად. თბილისის ტურში საერთოდ მასპინძელთა მიერ გატანილი 84 გოლიდან თითქმის ნახევარი (41) არაბოვას წყალობაა.

მასპინძლებმა დაიმსახურეს კიდევ ერთი პრიზი — საუკეთესო მეკარისა. იგი მიიღო ე. მერაბიშვილმა. საერთოდ, თბილისის „ბურევესტნიკმა“, რომლის ძირითად ბირთვს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები წარმოადგენენ, შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩაატარა და რეალური შანსი აქვს „ა“ კლასის უმაღლეს ლიგაში გადასვლისა (ალმაათელებთან მატჩი მათ მოიგეს ანგარიშით 26:19).

ბოლო დღის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „კოლოსი“ (ბერეგოვო) — „შვიესა“ (ვილნიუსი) 13:12 (7:5), „კალინინეცი“ (სვერდლოვსკი) — „ბურევესტნიკი“ (ერევანი) 24:15 (17:7), „ცვეტმეტი“ (კრასნოიარსკი) — მეტალურგიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) 13:15 (7:9). ზაპოროჟიელმა ვ. ზაიკოვსკაიამ მიიღო საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი.

შეჯიბრების შემდეგ მთავარ მსაჯს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს ა. კნიშევს (მოსკოვი) ვთხოვეთ აზრი გამოეთქვა ტურნირის შესახებ.

— შეჯიბრება დაძაბული იყო, ვინაიდან მას უნდა დაესახელებინა ორი გუნდი, რომლებიც საგაისოდ უფრო დაბალ ლიგაში გადავლენ, — თქვა მან. — ზაპოროჟიელთა გარდა, ყველა გუნდი თბილისში ქულათა პატარა მარაგით ჩამოვიდა. გამონაკლისს არც თბილისელები წარმოადგენდნენ. თქვენებმა ცუდად ითამაშეს სტუმრად, რაც მათთვის დამახასიათებელი როდია: შარშან თბილისელებმა ახალგაზრდულ თამაშებში III საპრიზო ადგილი დაიკავეს და მათი 2 ქულა სიურპრიზს წარმოადგენდა. სამაგიეროდ, ბურევესტნიკელებმა შესანიშნავად ითამაშეს შინ — ქულათა მაქსიმუმი აიღეს. გუნდი ახლა აღმავლობის გზაზეა. ეს პირველ ყოვლისა მწვრთნელების გ. მაჭავარიანისა და ლ. კარტოზიას დამსახურებაა. შემთხვევითი როდია, რომ მაჭავარიანი სსრ კავშირის გოგონათა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელადაა დანიშნული. პირველი წრის შემდეგ I-VI ადგილებზე გასული გუნდები 20 მაისს დაიწყებენ შეჯიბრებას საგაისოდ უმაღლესი ლიგის ორი საგზურისთვის. ჩემი ღრმა რწმენით, თბილისელებს საუცხოო შანსები აქვთ.

ა. მხეიძე.

## გათამაშების ცხრილები

### თბილისის ტურის შედეგები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბურევესტ.“ (თბ.) | 4 | 4 | 0 | 0 | 84:64 | 8 |
| მეტალურგ. ინსტ. | 4 | 4 | 0 | 0 | 77:64 | 8 |
| „კოლოსი“ | 4 | 2 | 0 | 2 | 65:68 | 4 |
| „ბურევესტნიკი“ (ალმა-ათა) | 4 | 2 | 0 | 2 | 71:76 | 4 |
| „ცვეტმეტი“ | 4 | 1 | 1 | 2 | 66:68 | 3 |
| „შვიესა“ | 4 | 1 | 0 | 3 | 57:62 | 2 |
| „კალინინეცი“ | 4 | 1 | 0 | 3 | 70:70 | 2 |
| „ბურევესტ.“ (ერ.) | 4 | 0 | 1 | 3 | 64:82 | 1 |

### პირველი წრის შემდეგ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეტალურგიული ინსტიტუტი | 7 | 6 | 1 | 0 | 133:108 | 13 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 7 | 5 | 0 | 2 | 132:117 | 10 |
| „კოლოსი“ | 7 | 4 | 0 | 3 | 108:117 | 8 |
| „ცვეტმეტი“ | 7 | 2 | 2 | 3 | 120:116 | 6 |
| „შვიესა“ | 7 | 2 | 2 | 3 | 106:107 | 6 |
| „ბურევესტნიკი“ (ალმა-ათა) | 7 | 3 | 0 | 4 | 123:129 | 6 |
| „კალინინეცი“ | 7 | 2 | 1 | 4 | 111:110 | 5 |
| „ბურევესტნიკი“ (ერევანი) | 7 | 0 | 2 | 5 | 105:134 | 2 |



# ლაურეატები

საუკეთესო სპორტული წიგნის II საკავშირო კონკურსში მონაწილეობისთვის შერჩეული იყო მოსკოვის, კიევის, მინსკის, რიგის, ბაქოს, კიშინიოვის, ტალინისა და მურმანსკის გამომცემლობათა მიერ დასტამბული 43 სხვადასხვა დასახელების წიგნები, სახელმძღვანელოები, ალბომები და ბუკლეტები.

პირველი პრემიები მიენიჭათ ბერდიჩევის სახელგანთქმული მხტომელთა სკოლის ფუძემდებელს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ვ. ლონსკის და სპორტის ოსტატ გ. არონოვს (ლიტერატურული ჩანაწერი) წიგნისთვის „რა გითხრათ სიმაღლის შესახებ?“ (წიგნი გამოსცა „მოლოდაია გვარდიამ“), აგრეთვე, სასწავლო სახელმძღვანელო „ნორჩი ტანმოვარჯიშის“ ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელს, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორს ა. შლემინს (გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტ“).

გარდა ამისა, პრემიები მიიღეს: ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა სამხტომში, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. კრეერმა წიგნისთვის „ვეძებ თანამოაზრეებს“, დიდოსტატმა ი. ავერბახმა და ოსტატმა მ. ბეილინმა ნაშრომისთვის „მოგზაურობა ჭადრაკის სამეფოში“ (ორივე ეს წიგნი გამოსცა „ფიზკულტურა ი სპორტმა“).

კონკურსის ლაურეატთა შორისაა ჟურნალისტი ვ. შტეინბახი, რომელსაც ეკუთვნის „დიდი რინგის ბიზნესი“ („სოვეტსკაია როსია“). სპეციალური პრემია მიიღო სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ე. ჩაიკოვსკაიამ წიგნისთვის „რუსული ცეკვის ნაყშები“.

ამ ტრადიციული კონკურსის ორგანიზატორები არიან საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი.

# ახალი აპრილი-74

● **რაბათი**, 22 აპრილი. ტრადიციულ მრავალდღიან „ტურ დიუ მაროკში“ საბჭოთა ველოსიპედისტებმა ორმაგ წარმატებას მიაღწიეს: პირად ჩათვლაში ყველას აჯობა რიგელმა ა. იაკობსონმა (1567 კმ — 42:30.13), ხოლო გუნდურში სსრ კავშირის ნაკრებს ბადალი არ ჰყავდა (მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ პოლონეთისა და შვეციის კოლექტივები). პირად ჩათვლაში II-V ადგილებიც საბჭოთა სპორტსმენებმა დაიკავეს (ტაშკენტელი ა. იუდინი — 42:32.00, კუიბიშეველი ა. გუსიატნიკოვი — 42:33.04, კურსკელი ვ. ჩაპლიგინი — 42:33.43, მინსკელი ვ. ბასკო — 42:34.02). სსრ კავშირის მრბოლელებმა 9 ეტაპი მოიგეს 12-დან.

● **ჰაიდენჰაიმი** (გფრ), 22 აპრილი. დაშნით მოფარიკავეთა შეჯიბრება ევროპის თასზე აქ ბუდაპეშტის „ბვსკ“-ს გამარჯვებით დამთავრდა. საკლუბო გუნდების ამ ტრადიციული ტურნირის ფინალში უნგრელებმა, რომელთაც მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი ჩ. ფენვეში ედგათ სათავეში, ბერნის (შვეიცარია) გუნდს სძლიეს — 9:7. მეოთხედფინალში უნგრელებმა კონტინენტის თასის მრავალგზის მფლობელი ცსკა (მოსკოვი) დაამარცხეს. პირად შეჯიბრებაში გაიმარჯვა შვეიცარიელმა პ. ლოტშერმა. ლენინგრადელი ბ. ლუკომსკი III ადგილზე გავიდა.

● *ფორტ-ლოდერდეილი (აშშ), 22 აპრილი. აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში დიდ წარმატებას მიაღწია კოშკიდან წყალში ხტომაში სსრ კავშირის ჩემპიონმა, მინსკელმა ნ. მიხაილინმა. მან აჯობა ორ ოლიმპიადაში გამარჯვებულს, მსოფლიო ჩემპიონს, იტალიელ კ. დიბიასის, რომელიც ამ ბოლო წლებში არ დამარცხებულა. ამ სპორტსმენების დაძაბული დუელის ბედი მიხაილინის ბოლო, მეტისმეტად რთულმა ნახტომმა გადაწყვიტა. ამ უზადო ნახტომისთვის მსაჯებმა საბჭოთა სპორტსმენს მაღალი შეფასება — 25 ქულა მისცეს. მიხაილინის ჯამი 527,10 ქულამ შეადგინა, დიბიასის კი 517,77 ქულა აღმოაჩნდა. ტრამპლინზე შეჯიბრებაში მოსკოველი ვ. სტრახოვი მესამე იყო — 567,60. გაიმარჯვა ამერიკელმა ფ. ბოგსმა — 589,14. ქალთა შორის ბადალი არ ჰყავდა ოლიმპიურ ჩემპიონს უ. კნაპეს (შვეცია), რომელმაც კოშკზეც გაიმარჯვა და ტრამპლინზეც, პენზელი ი. კალინინა კოშკიდან ხტომაში მესამე იყო — 326,94 ქულა.*

# თასი საქართველოს გუნდს ხვდა

ტაშკენტის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თასის გათამაშებაში, რომელიც ამას წინათ გაიმართა, რეგბისტთა 10 გუნდი მონაწილეობდა. უზბეკეთის დედაქალაქს სასპარეზოდ ეწვივნენ ყაზანის უნივერსიტეტის, კრასნოიარსკისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტების, ალმა-ათის „ბურევესტნიკის“, აგრეთვე, პენზისა და ნოვოკუზნეცკის უმაღლესი სასწავლებლების ნაკრები კოლექტივები. მათთან ერთად თასისთვის იბრძოდნენ ტაშკენტის პოლიტექნიკური ინსტიტუტის I და II გუნდების „ლოკომოტივისა“ და ენერგეტიკის ინსტიტუტის რეგბისტები.

მონაწილენი თავიდან ორ ჯგუფად დაიყვნენ, ჯგუფებში შეხვედრები წრიული სისტემით ჩატარდა, უძლიერესები კი თასისთვის გადამწყვეტ ბრძოლაში შეხვდნენ ერთმანეთს. II ადგილებზე გასულმა კოლექტივებმა III და IV ადგილები გაითამაშეს და ა. შ.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რეგბისტებმა, რომლებსაც ორიოდე თვეა თბილისის „ლოკომოტივის“ ყოფილი მოთამაშე, სპორტის ოსტატი გ. მიქაბერიძე ავარჯიშებს, ყველა შეხვედრა ძლიერად ჩაატარეს. თავიანთ ჯგუფში მათ დაამარცხეს: კრასნოიარსკის სპორტსმენები (10:3), ყაზანის გუნდი (34:4), ტაშკენტის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეორე კოლექტივი (50:7), ენერგეტიკის ინსტიტუტის რეგბისტები (64:0) და ფინალში გავიდნენ.

ფინალში საქართველოს წარმომადგენელთა მეტოქე იყო ტაშკენტის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველი გუნდი. გადამწყვეტი მატჩი მეტად დაძაბული გამოდგა. თბილისელებმა პირველივე ტაიმი მოიგეს — 12:9. ეს ანგარიში მეორე ტაიმში აღარ შეცვლილა.

ამრიგად, გარდამავალი თასი საქართველოს გუნდს ხვდა.

გამარჯვებულნი ყველა მატჩში თავგამოდებით თამაშობდნენ. მათ ყველა მეტოქე დაამარცხეს საერთო ანგარიშით 170:23. თუ გავიხსენებთ, რომ ტურნირში სსრ კავშირის პირველობის I ლიგის გუნდებიც მონაწილეობდნენ, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რეგბისტთა წინსვლა შარშანდელთან შედარებით აშკარაა.

როგორც გუნდის მწვრთნელმა გვითხრა, კოლექტივის უახლოესი ამოცანაა ბრძოლა ჯერ თბილისის, შემდეგ რესპუბლიკურ ჩემპიონატში საპრიზო ადგილებისთვის, მერე კი — საკავშირო პირველობის I ლიგის გუნდების ტურნირის საგზურისთვის.

რ. მაღრაძე.

* * *

სურათზე: ტაშკენტის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თასის მფლობელი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი.

ზ. ბოგველიშვილის ფოტო.

# სპარტაკიადისთვის მზადების პროგრამით

კვირას რუსთავის გზატკეცილის 21-ე კილომეტრზე, იმ ადგილას, სადაც საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის ავტო-მოტოტრასა შენდება, გაიმართა გაზ-51, გაზ-53 და ზილ-130 მარკების საბარგო მანქანების კროსი.

შარშან ამგვარი საკავშირო შეჯიბრება დიღმის მინდვრებზე ჩატარდა და მაყურებელთა დიდი ინტერესიც გამოიწვია. მაშინ საქართველოს სპორტსმენებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს. არადა, ეს სახეობაც სპორტის ტექნიკური სახეობების საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში შედის. გარდა ამისა, ხალხთა მომავალი სპარტაკიადის საერთო ჩათვლაში ტექნიკურ სახეობებში მოპოვებული ქულები დიდ როლს შეასრულებს.

საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტი საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადებას კარგა ხანია შეუდგა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შედარებით ჩამორჩენილ სახეობებს.

საბარგო მანქანების რესპუბლიკური კროსის სტარტზე თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და სამტრედიის ავტომობილისტები გამოვიდნენ. ქუთაისელებმა ორი გუნდი გამოიყვანეს და საერთო ჩათვლაში ორი საპრიზო ადგილიც მოიპოვეს: პირველმა კოლექტივმა გაიმარჯვა, მეორე გუნდი კი III ადგილზე გავიდა. თბილისის ნაკრები II ადგილს დასჯერდა.

გაზ-51 მარკის მანქანებით რბოლაში ყველას თბილისელმა სპორტსმენებმა — სპორტის ოსტატობის კანდიდატებმა თ. ახვერდოვმა და ე. ხანჯიანმა (ორივე — დოსააფი) აჯობეს. III ადგილზე გავიდა ვ. ცხოიძე (ავტოკოლონა 2651).

გაზ-53 და ზილ-130 მარკების მანქანების შოფრები ერთად ასპარეზობდნენ. აქ სამივე საპრიზო ადგილი ქუთაისის № 3 ავტოკონტორის წარმომადგენლებს შ. ახალაძეს, ჯ. ბალანჩივაძესა და ი. ხაჭაპურიძეს ხვდათ.

ქ. ძიმისტარიშვილი.



* * *

სურათზე: თბილისელი ჯ. გაზაევის მანქანის „ნახტომი“.

ხ. ვართანიანცის ფოტო.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04565